თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

22.07.2022
N 3135

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ი. ჩიდრაშვილს

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2022 წლის 25 მარტის N 6/16822 წერილის პასუხად, ქალაქ ახალციხეში მდებარე 2144 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 62.09.62.445) პრივატიზების შესახებ გაცნობებთ რომ, უძრავი ქონება მდებარეობს რკინიგზის გასხვისების ზოლს გარეთ, 2 მეტრზე მაღალი ყრილის მიმდებარედ. დარგობრივი სამშენებლო ნორმების 3.02.01-97 „რკინიგზის გასხვისების ზოლის პროექტირების ნორმები და წესები"-ს თავი 2, პუნქტი 2.2.3.4-ის თანახმად, 2 მეტრი და მეტი სიმაღლის რკინიგზის ლიანდაგის ყრილიდან, რკინიგზის ექსპლუატაციასთან კავშირის არმქონე ნაგებობების დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 50 მეტრი, ავარიის შემთხვევაში უსაფრთხოების პირობებიდან გამომდინარე.

მითითებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების 2.07.01-89 „ქალაქთმშენებლობა"-ს პუნქტების 3.8 და 6.8-ის, ნავთობპროდუქტების საწყობების სამშენებლო ნორმების და წესების СНиП II-106-79, 12.8 პუნქტის ცხრილი 13-ის და სახანძრო უსაფრთხოების ნორმების НПБ 111-98 ცხრილი 1-ის მიერ დადგენილი პირობები (შეზღუდვები). სხვა პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული პირობების დაცვის შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ მითითებული უძრავი ქონების (ს/კ 62.09.62.445) განკარგვა კანონითდადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი
ნინო ჯორბენაძე